

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს
დირექტორის საქმიანობის
ყოველკვარტალური ანგარიში

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის „ე“
ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს

საანგარიშო პერიოდი:

2020 წლის

მესამე კვარტალი

(01/07/2020- 30/09/2020)

ბათუმი

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიორიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
რადიო - შედეგები და საჭიროებები;
ინტერნეტი - შედეგები და საჭიროებები;
მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

შესავალი

წარმოგიდგენთ 2020 წლის მესამე კვარტლის (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2020 წლის მეორე კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- ✓ მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- ✓ თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ✓ ვებგვერდის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ თოქ შოუს გამართვა;
- ✓ ახალი სეზონისთვის მზადება;
- ✓ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ გაყიდვების მართვა;
- ✓ სტუდიების განახლება;

კვარტლის მიღწევა

გასულ კვარტალს განახლდა ინფრასტრუქტურა, მეორე სართულზე განხორციელდა სამუშაო ოთახების მოწყობა, სადაც საქმიანობას განაახლებს შემოქმედებითი და ანალიტიკური სამსახური. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა, მიუხედავად ტექნიკური ხარვეზისა და არასაკმარისი რესურსისა. მოცემულ საანგარიშო პერიოდში ტენდერის საშუალებით შევისყიდეთ LiveU - ს 3 გადამცემი და LiveU - ს მიმღებზე 4 არხის მიღების ლიცენზია, შევისყიდეთ განათების აპარატურა, გავაფორმეთ ხელშეკრულება მოძრავი სატელევიზიო სადგურის მოწოდებაზე. დღეის მდგომარეობით მოწოდებულია 16 ერთეული ვიდეო კამერა, საიდანაც 10 (ათი) ერთეული ახალი ამბების სამსახურის ბათუმის ნიუსრუმს, ხოლო 3(სამი) ერთეული შემოქმედებითი გადაცემის სამსახურს, 3(სამი ერთეული) თბილისის ბიუროს გადაეცა. სააპარატოში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, დავამონტაჟეთ ახალი ვიდეო პულტი. აქვე დავძენ, რომ მოძრავი სატელევიზიო სადგურის მოწოდებას ველოდებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.


საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში ჭარბობდა სიუჟეტები ადგილობრივი პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ამასთან ეთერი აქტიურად ეთმობოდა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, რომელიც შუქდებოდა ძირითადად ეთიკური სტანდარტის დაცვით.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

აჭარა

15 ივნისი - 31 აგვისტო, 2020

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



კვარტლის გამოწვევა

მაუწყებლის ვებ-გვერდს არ ჰყავს სტილისტი. ეს აისახება ჩვენს რეპუტაციაზე.

„პროგრამა=პრიორიტეტს“ შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

საანგარიშო პერიოდის მანძილზე მაუწყებელი ცდილობდა გაეშუქებინა მთავარი გამოწვევები.

ტელევიზია-შედევები და საჭიროებები;

აქტუალური იყო შემოქმედებითი და ანალიტიკური საქმიანობის გამართვა, სატელევიზიო ბადე შემუშავებული იქნა რეკომენდაციების მეშვეობით. ახალი ამბების და შემოქმედებითი სამსახურ(ები)ი ქმნიდნენ კონტენტს, რომელიც შეესაბამებოდა მაუწყებლის სტანდარტებს. მაუწყებელი საგანგებო რეჟიმში აუქებდა გიორგი შაქარაშვილისა თამარ ბაჩალიეშვილის საქმეს. დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მივლინება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საანგარიშო პერიოდში ასევე ხდებოდა პოლიტიკური პარტიების პრეზენტაციები.

ინტერნეტი-შედევები და საჭიროებები;


სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდი 01 ივლისი 30 სექტემბერი

ტოპ-მონაცემები - ფბ მთვლილით

ბოლო კვარტალში ყველაზე პოპულარული ვიდეო მაუწყებლის გადაცემებს შორის - რადიოვიზია ორი ვიდეო გახდა - 17 ათასზე მეტი მოწონება, 1000-ზე მეტი გაზიარება და 500-მდე კომენტარი აქვს ვიდეოს ბენდზე მომზადებულ სიუჟეტს.


ტოპებში ძირითადად პოზიტიური ამბებია.



გურულ ძაღლ მარკუშაზე მომზადებულ სიუჟეტს ჯამში 5000 გაზიარება აქვს 222 ათასი ნახვა აქვს. ასევე დიდი ემოციები. ის წინა პოსტს, მხოლოდ კომენტარებით ჩამორჩება, სხვა პარამეტრებით უფრო დიდი რეზონანსი ჰქონდა.



პოპულარული ვიდეოებს შორის - ოთხეულში მოხვდა ჰემთეგის გადაცემებიც. ორი ისტორია - „მზევინარის საკერვალო ღორჯომში“ და აჩი შაქარიშვილი [შეზღუდული შესაძლებლობა არსებობს]. აჩის ვიდეოს 42 ათასზე მეტი ნახვა აქვს ჰემთეგის გვერდზე, ხოლო 1200 ემოცია და 500 მდე კომენტარი. ხოლო მზევინარის ისტორია ჰემთეგის გვერდზე 85 ათასმა ადამიანმა უყურა, 5 ათასზე მეტი ემოცია დაიმსახურა და 1000 მდე გაზიარებაც.






ტოპებში, ყოველთვის ხდება მე ვარ ფერმერის ვიდეოები. არა პირველ ხუთეულში, თუმცა საკმაოდ ყურებადია. ონლაინ რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, საინფორმაციოს მიერ შექმნილი ვიდეოებიდან ტოპებში მოხვდა ორი ვიდეო - ჯენი კვანტალიანის ინტერვიუ - შაქარაშვილის საქმეზე . 284.2K Total Views 300 გაზიარება აქვს, 5 ათასამდე კომენტარი (ოფიციალურ გვერდზე და გადაზიარებულზე) 6 ათასამდე ემოცია. ხოლო მეორე ვიდეო, საქორწილო დარბაზების მფლობელების აქციაზე გაკეთებულ სახალისო ვიდეოს 114.2K Total Views




ვებ გვერდისა და ფბ ოფიციალური ფეიჯის მონაცემები საინფორმაციო ნაწილში

წინა ანგარიშში ვწერდი, რომ ფბ ვიზიტორთა რაოდენობა დინამიკაში შემცირებულია პირველი კვარტლის მონაცემებთან შედარებით. ქვემოთ მოცემულ პირველ დიაგრამაში ნაჩვენებია, მეორე და მესამე კვარტლის მონაცემები. დიაგრამაზე დავინახავთ, რომ დინამიკა ისევ კლებადა. ანუ, 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით სერიოზული კლებაა ფეიჯზე ძირითადი აქტივობის თვალსაზრისით. დიაგრამაზე ნახავთ, რომ ოქტომბერში, ეს დინამიკა მკვეთრად იცვლება და აქტივობა ძალიან მაღალია. სავარაუდოდ, ჩემი მოსაზრებით, ასეთი ზრდა უკავშირდება რეგიონში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას.

(დიაგრამა 1: ბოლო ორი კვარტლის დინამიკა)



დიაგრამა 2: კვარტლის დინამიკა




გაზრდილია ლაიკერების რაოდენობა 5 ათასით, თუ 2020 წლის მეორე კვარტლის დასასრულს 98 ათასამდე ლაიკერი ჰყავდა მაუწყებლის ფბ გვერდს, მესამე კვარტლის დასასრულს 103 ათასზე ცოტა მეტია.


პირველ კვარტალთან შედარებით, მეორე კვარტალში რიჩები შემცირებული იყო. მესამე კვარტალში ზრდის დინამიკა არ გვაქვს, თუმცა არც კლება ფიქსირდება.

ვიდეო მონაცემები სოციალურ ქსელში

საერთო სურათზე ყველა პარამეტრში კლებაა. დიაგრამაზე მოცემულია 1 თებერვლის შემდეგ ატვირთული ვიდეოებისა (ნარინჯისფერი ზოლი და ლაიკების (მწვანე ზოლი) მონაცემები. გვაქვს ლაიკებზე რამდენიმე გარღვევა, მაყურებლის დიდი ოდენობა ფეხბურთს უყურებდა საიტზე. დინამიკა დიდად შეცვლილი არ არის, თუმცა დიაგრამაზე მცირედი კლება შეინიშნება. ფბ მონაცემების მიხედვით, 1 თებერვლის შემდეგ 25% კლებაა იმ აუდიტორიის, რომლებიც ვიდეოებს ერთი წუთზე მეტი ხნით რთავდა. 27% კი დაიკლო იმ მომხმარებელთა რაოდენობამ, რომლებიც აკომენტარებდა ან რაღაც რეაქციას აფიქსირებდა მაუწყებლის გვერდზე განთავსებულ ვიდეოებსა თუ ლაიკებზე.

(მონაცემები მოცემულია, სქრინში ზემოთ ნაწილში






ინტერაქცია და ფხ რეგისტრირებული მედია ორგანიზაციების რეიტინგები

მეორე კვარტალში, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს კარგი ინტერაქცია ჰქონდა ფხ გვრდზე და რეიტინგების მიხედვით, მე-13 ადგილზე იმყოფებოდა. ეს იყო ძალიან კარგი შედეგი, რადგან პირველ კვარტალში მე-16 ადგილზე ვიმყოფებოდით და აშკარა პროგრესი იგრძნობოდა ამ კუთხით. სამწუხაროდ, მესამე კვარტალში მონაცემები მკვეთრად გაუარესდა და 5 პუნქტით ჩამოვიწვდით. ქვეყნის მასშტაბით მედიასაშუალებების რეიტინგებში (ინტერაქციის კუთხით) მე-18 ადგილზე ვიმყოფებით.

Entity Name	Views	Percentage Change
მედიის არხი • Mavi Arxi	8,668	+11.15%
TV Pirveli • ტელევიზიის პირველი	3,278	+18.31%
Rustavi 2	2,938	+2.39%
TV Imedi	2,708	+2.35%
მსოფლიო კინოს კანონი • მსოფლიოს კინოს კანონი	898,473	+2.59%
ფორ მოდის კანონი • ფორ მოდის კანონი	531,911	+0.23%
თავი მოუპოვებელი	522,598	+2.36%
ჩვენი მიწის მფლობელი	444,215	+1.86%
საქველი არხი	424,942	+2.38%
ambtsi.ge • ამბსი.გე	354,308	+0.46%
POSTV - ასკო ასტვი	273,525	+3.68%
POSTV - გაზონა	272,959	+2.33%
პრემიუმ • PrimeShow	262,629	+2.33%
Kakha Kaladze • კახა კალაძე	260,551	+3.71%
Tabula • ტაბულა	225,881	+0.51%
მედიის არხი • Mavi Arxi	199,839	+4.25%
მედიის არხი • Mavi Arxi	189,619	+2.53%
აჭარის ტელევიზია • Ajara TV	176,138	+4.31%
NEWS On.ge	173,389	+1.02%
POSTV	154,451	+3.19%


ინტერაქცია ციფრებში : 179,130 მესამე კვარტალი
336,346 მეორე კვარტალი
327,064 პირველი კვარტალი

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთ ბათუმელების ფზ გვერდმა ამ რეიტინგებით გაგვისწრო, რაც მანამდე არ დაფიქსირებულა. სავარაუდოდ, კონკურენტებმა გააქტიურეს ამ მიმართულებით მუშაობა და აუცილებელია, რომ ნიუსებზე მომუშავე ჯგუფმა, მენეჯერმა მიაქციოს ამ მიმართულებას ყურადღება. ბათუმელები რეგიონში ჩვენი უმუალო კონკურენტები არიან და ონლაინ მიმართულებით აუდიტორიას გვართმევენ.



საიტის მონაცემები: ბოლო სამ თვეში 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. საშუალო მაჩვენებელი 15 ათასია და აუდიტორიის ზრდის დინამიკა, მეორე კვარტალთან შედარებით მზარდია. პირველი კვარტლის მონაცემებს სამწუხაროდ ჯერ ვერ ვეწევით. ძალიან მაღალია ბონუს რეითი, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი სოცმედიდან გადმოვიდა ერთ სტატიაზე და იქვე დახურა საიტი. არც ერთ სხვა პროდუქტზე აღარ გადავიდა. მომხმარებელთა 77.9% გადმოდის სოციალური ქსელიდან, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ფზ აუდიტორიის ჩართულობის გაზრდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მონაცემებით, რთულია მივიღოთ რეალური სურათი, სანამ არ მოხდება მაუწყებლის სხვადასხვა გადაცემების ფეისბუკ გვერდებზე და მაუწყებლის ვებ-გვერდზე აქტივობათა მონაცემების შეჯერება. ამის თქმის სშუალებას გვაძლევს ის ფაქტია, რომ ერთი გადაცემის, კონკრეტულად კი „სახალხო კონტროლის“ ეთერში გასვლამ, რომელსაც გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა ეთერში გასულ სხვა გადაცემებს, გამოიწვია არხის საერთო რეიტინგის ისეთი ზრდა, სატელევიზიო არხების საერთო რეიტინგში, რომ მე-15-ე პოზიციიდან გადაინაცვლა მე-8-ზე. სექტემბრის ბოლოს

განხორციელდა მაუწყებლის ვებ-გვერდზე კიბერთავდასხმა, დღეის მდგომარეობით ვითარება გამოსწორებულია, საქმე კი გადაგზავნილია შსს შესაბამის ორგანოებში. გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით მოხდეს ვებ-გვერდის CMS-ის ანალიზი და უსაფრთხოების შემოწმება.



ახალი ამბების სამსახურის მუშაობა მე-3 კვარტლის პერიოდში გახდა კიდევ უფრო მოქნილი და ოპერატიული, რაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული. ეფექტური მუშაობისთვის შეძენილია პირდაპირი ჩართვის აპარატები, რაც საშუალებას გვაძლევს საინფორმაციო გამოშვებების მიმდინარეობისას პირდაპირი ჩართვის განხორციელების შესაძლებლობას რამდენიმე წერტილიდან ერთდროულად. თბილისის ბიუროში მოხდა 2 ახალი რეპორტიორის ლევთერ ყურაშვილისა და მარიამ ურუშაძის, ხოლო ბათუმის ცენტრალურ ოფისში თამილა ზოიძის დამატება. რამდენიმე თანამშრომელს გაეზარდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ანაზღაურება. თანამშრომლები, რომლებიც 6 (ექვსი) თვიანი გამოსაცდელი ვადით იყვნენ სამსახურში მიღებული, საკონკურსო კომისიამ გამოვლენილი შედეგების მიხედვით, კვლავ დანიშნა იგივე პოზიციებზე. ფორმატი შეიცვალა შაბათ-კვირის ანალიტიკურმა გადაცემებმა და ეთერში გადის სამშაბათსა და პარასკევს. ანალიტიკური გადაცემების რეპორტიორი ხათუნა შუმანიძე კი საკუთარი სურვილით გადაყვანილ იქნა პროდიუსერის პოზიციაზე. წინასაარჩევნო პერიოდში, გადაცემა „არჩევნები 2020-ში“ სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს - ლაშა ზარგინავა და ირინა ყურუა პოლიტიკურ სუბიექტებსა და მათ საარჩევნო პროგრამას აცნობენ მაყურებელს. შექმნილი ეპოდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, თანამშრომელთა დაყოფა მოხდა ისევ „კლასტერებად“ რომ საფრთხე მაქსიმალურად იქნას აცილებული და

ჯგუფებად დაყოფილებს არ ჰქონდეთ ერთმანეთთან შეხვედრის საშუალება. გრძელდება თანამშრომლობა ამერიკის ხმასთან, ასევე მასალების გაცვლა საჭიროების შემთხვევაში ხდება, რამდენიმე ცენტრალურ არხთან.

გამოწვევა:

ტექნიკური გადაიარაღება ისევ მთავარი გამოწვევაა, როგორც ცენტრალურ ოფისში ისე ბიუროებში. აუცილებელია რემონტი თბილისის ბიუროში, რაც ასახული გვაქვს 2021 წლის ბიუჯეტში.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის 2020 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- კონკურსით მექანიკური პროდუქციის (მხატვრული ფილმების) შექმნა-გაშვება: მიმდინარე წლის 17 ივლისს მხატვრული ფილმების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან, კომპანია „გგ დაბინგ“-თან გაფორმდა ხელშეკრულება (#187) 22 მხატვრული ფილმების და შპს „ქართული გახმოვანება“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება (#189) 20 მხატვრული ფილმების ჩვენების ლიცენზიის შექმნის თაობაზე;
- მიმდინარე წლის 23 ივნისს ქართული მხატვრული ფილმების ჩვენების ლიცენზიის შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულთან „გგ მედია“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება (#176) 51 ქართულ ფილმზე;
- გარე წარმოება: პროგრამათაშორისი ვიდეორგოლების კონკურსის წესით შექმნა: მიმდინარე წლის 16 ივლისს პროგრამათაშორისი ვიდეორგოლების (შიდა ტურიზმის თემა) შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსის გამარჯვებულებთან, ი/მ ლაშა ფალავანდიშვილთან გაფორმდა ხელშეკრულება (გ.წ.2) 24 არტის შესყიდვაზე;
- გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქთისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- ბრენდირებული ნივთების შექმნა: ბანერი „არჩევნები 2020“, ტრიბუნის სტიკერი „არჩევნები 2020“, სავიზიტო ბარათები, პანდემიის რეგულაციის სტიკერები;
- ორგანიზაციებიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
- 6 კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 31 979 ლარი;

- წინასაარჩევნო კამპანიის ვიგეორგოლების მიღება-განთავსება, ფასიანი პოლიტიკური რეკლამების მიღების წესის და ფასის დამუშავება-დამტკიცება, პროგრამების მიწოდება-ატვირთვა მარეგულირებელი კომისიისთვის;
- სტუდია „მაკრო“-სთან (სერიალი „ერთხელ ბათუმში“) - გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოწოდებულია სულ 24 სერია.
- მესამე კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:
 - ახალი გადაცემის განთავსება ბადეში: გადაცემა „სახალხო კონტროლი“ 10 აგვისტოდან განთავსდა ეთერში, ყოველ ორშაბათს 22:00 საათზე;
 - ეთერში განთავსდა მუსიკალური ცენტრის მიერ მოწოდებული საკონცერტო ნომრები;
 - 7 სექტემბრიდან ბადეში ეტაპობრივად განთავსდა საავტორო გადაცემები;
 - 14 სექტემბრიდან ბადეში განახლდა თოქ-შოუ „თავისუფალი სივრცე“, კვირაში ორი დღე;
 - 29 სექტემბრიდან ბადეში განთავსდა თოქ-შოუ „არჩევნები 2020“ კვირაში 3 გადაცემა;
 - ტელესკოლის ფარგლებში განთავსდა 6 გადაცემა „დიდი დასვენება“;
 - რეჟისორ სპარტაკ ფარჯიანის ორი დოკუმენტური ფილმი სვანეთის ისტორიის თემატიკით;
- ახალი სეზონის ბადის შემუშავება-დამტკიცება (30 ივლისის ბრძანება#02-03/26);
- ქართული ფილმების შესაძენად (60 ფილმი) გამოცხადდა კონკურსი. კონკურსის შედეგად შპს „გგგ მედია“-დან შევიდინეთ 51 ქართული მხატვრული ფილმი;
- უეფას ევროპული ლიგა - ისრაელის გუნდი ჰაპოელ ბეერ შევა -დინამო ბათუმი (27 აგვისტო) პირდაპირი ეთერი. მოლაპარაკების წარმოება, ხელშეკრულების დადება;
- „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძის სახელობის მუსიკალური ფესტივალის კონცერტი-გახსნა, ჩვენება პირდაპირ ეთერში;
- ქართულ მწერლობის თემაზე შემეცნებითი-საგანმანათლებლო პროგრამათაშორისი ვიდეორგოლებზე კონკურსის გამოცხადება, გამარჯვებულის გამოვლენა, ა(ა)იპ „არტბრავო“-სთან ხელშეკრულების გაფორმება.

მიმდინარე მაუწყებლობის მესამე კვარტალში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

პროგრამული ბადის მიხედვით მოხდა პირდაპირ ეთერში საინფორმაციო, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები და შემოქმედებითი გადაცემების ტრანსლირება.

ასევე დაუგეგმავი სპეციალური გამოშვებები. გაიმართა თათბირი და შემუშავდა გეგმა ტექნიკურ გადაიარაღებასთან დაკავშირებით.

სტუდიაში გამოიცვალა ვიდეო პულტი. მოდერნიზებული, გაუმჯობესდა შესაძლებლობა და ხარისხი. დაგვემატა ლაივუს გადამცემები. ბათუმის დრამატული თეატრიდან განხორციელდა სპექტაკლის „ ბოლო გაჩერება“ და ლიანა ისაკაძის „სადამოს სერენადების“ პირდაპირი ეთერი.

„ბათუმის დინამოს“ და ისრაელის „ბელ შევა“ ს პირდაპირი ეთერი თელავივიდან, რომლის ტრანსლირება მიმდინარეობდა როგორც ტელევიზიით ასევე მოხდა მოლაპარაკება ქალაქ ბათუმში სხვადასხვა ლოკაციებზე განთავსებულ მონიტორებზე.

„დინამო ბათუმის“ და „თბილისის დინამოს“ ტრანსლაცია ქუთაისიდან. შევხვდით ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელს, სიტყვიერი შეთანხმებით უფასოდ განვათავსებთ დინამო ბათუმის თამაშებს იანვრამდე.

ბათუმის მუსიკალურ ცენტრში მოეწყო პოლიტიკური თოქ- შოუ „არჩევნები 2020“ სტუდია. სპეციალურად დამზადდა დეკორაცია რომელიც განთავსდა სცენაზე. გადაეწყო განათების აპარატები და სატელევიზიოდ განათდა. დამონტაჟდა პროექციის ეკრანი.

სპეციალური გამოშვება სტიქიის ადგილიდან. ღამის ეთერი, მობილიზებული იქნა თანამშრომლები, შეუფერხებლად მიმდინარეობდა ტრანსლირება.

გამარტივებული შესყიდვის გზით შევიძინეთ კოსმეტიკური საშუალებები. სამაუწყებლო ბადეში რაიმე ცვლილება არ მომხდარა

რადიო - შედეგები და საჭიროებები;

2020 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლელისტის გენერაცია - განახლება.

გამოცხადდა კონკურსი რადიო აჭარის შემეცნებით გასართობი პროგრამების შესამენად - ქართული ესტრადა და კლასიკური ესტრადა, ჯაზი. ასევე გამოცხადდა კონკურსი არხის შეფუთვასთან დაკავშირებით. სტუდიური ჯინგლები, საცნობები და ტიხრები.

კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ნომინაციაში ქართული ესტრადა და არხის შეფუთვა. კლასიკური ესტრადის და ჯაზის სეგმენტში შემოთავაზებული კონტენტის დაბალი ხარისხის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.

შეიცვალა რადიოს ბადეში არსებული გადაცემების სრული შეფუთვა.

სეზონის ბოლოს შვებულებაში გავიდა თითქმის ყველა გადაცემა. უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა მხოლოდ შემეცნებით-გასართობი პროგრამების ჯგუფი გადაცემით „შუა დღის ზოლი“, რომელიც 2 საათიანი ქრონომეტრაჟის ნაცვლათ 5 საათიან გადაცემას სთავაზობდა მსმენელს და ახალი ამბების ჯგუფი.

ახალი სეზონისთვის მომზადდა და ჩაეშვა რადიო აჭარის დილის ახალი გადაცემა „დილის რადიო“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს, დილის 08:30 დან 10:00 აწვდის მსმენელს მათთვის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას.

რეგიონში და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო სტუმრების რადიოს სტუდიაში მიღების პროცესი დაყვანილია მინიმუმამდე. ძირითადი დატვირთვა მოდის სატელეფონო ჩართვებზე. სტუმრის მიღება სტუდიაში მოხდება მხოლოდ გადაუდებელ სიტუაციების ან ეპიდ სიტუაციის შემსუბუქების შემთხვევაში.

ახალი სეზონისთვის განახლდა როგორც რადიოს სამაუწყებლო ბადის მუსიკალური პლეილისტი, ასევე ჩაეშვა განახლებული არტები, საცნობები, გადაცემის შეფუთვები და ანონსები. პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა.

დღემდე პრობლემად რჩება რადიოს საეთერო სტუდიებში და სამონტაჟოებში პროფესიონალური ყურსასმენების საკმარისი რაოდენობის არქონა. სტუდიაში მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ 3 ყურსასმენი როცა მინიმუმ გვჭირდება სტუდიაში 7. სამონტაჟოებში კი 4. საუბარია პროფესიონალურ ყურსასმენებზე. ხშირ შემთხვევაში სტუმარიც და წამყვანიც რჩება ყურსასმენის გარეშე. პროფესიონალური ყურსასმენების შეძენა გათვალისწინებულია მომავალი წლის ბიუჯეტში.

შემოქმედებითი მიმართულებით

შემოქმედებითი მიმართულებით მესამე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები აწარმოეს საყოველთაო პანდემიის პირობებში. ძირითადად აგვისტოს თვეში გადაცემების შემოქმედებითი გუნდი ისვენებდა. პროექტების უმრავლესობა განახლების პროცესშია და მიმდინარეობს ქულებისა და პრომოების გადაღება მონტაჟი. მესამე კვარტალში დაიგეგმა და ახალ სეზონში განხორციელდება ყოველდღიური (სამუშაო დღეებში) შუადღის პროექტი - „ეს შუადღე“ მესამე კვარტალში სრულიად გამოიცვალა დილის გადაცემის სარეჟისორო გეგმა და ახალ სეზონში ახალი სატელევიზიო ფორმატიც და შეფუთვით წარსდგება მაყურებლის წინაშე. ასევე, შემოქმედებითი მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი ტელესპექტაკლები, პროექტი ყოველთვიურად შესთავაზებს მაყურებელს რეგიონალური თეატრების წარმოდგენებს ქვეყნის მაშტაბით. სატელევიზიო ბადეში შეიქმნა თოქ-შოუების ზოლი რომელშიც გაერთიანდა გადაცემები: კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტის და სოციალური (ჰემთეგის) მიმართულების. შენდება ახალი სტუდია, სადაც გადაღებულ იქნება ზუმის ზოლის გადაცემის პრომოები. კონკურსის შედეგად გარეწარმოებაზე მზადდება 2 პროექტი პროგრამათაშორისი,

შემეცნებით-საგანმანათლებლო ვიდეო-არტები და საზაფხულო გასართობ-შემეცნებითი ვიდეო-არტები - ეს უკანასკნელი საყოველთაო პანდემიის გამო 2020 წლის სეზონში აღარ განთავსდება სატელევიზიო ბადეში და 2021 წლის საზაფხულო სეზონისთვის შეინახება. მზადდება გარეწარმოებისთვის საკონკურსო წინადადება საბავშვო გადაცემის წარმოების შესახებ, რომლის წარმოებაც თვის ბოლოდან დაიწყება. შემოქმედებითი სამსახურის მიერ დამზადდა საინფორმაციო გამოშვების ქუდი, პრომო და ტიხრები. ასევე, შეიფუთა საარჩევნო ბეგრუნდები და საარჩევნო თოქ-შოუ. შემოქმედებითი მიმართულებით მუსიკალურ პროექტ „მონო“-ს ფარგლებში გადავიღეთ კიდევ ერთი ქართველი მუსიკოსის მონო კონცერტი. დაიხურა გადაცემები - „რადიოვიზია“ და „აკვარიუმი“ ამ პროექტებში დასაქმებული შემოქმედებითი გუნდი გადანაწილდა შუადღის და დილის გადაცემაში. აღდგა დოკუმენტური ფილმების წარმოება და ახალ სეზონში მივიღებთ აჭარის ტელევიზიის წარმოების ახალ დოკუმენტურ ფილმებს.

იურიდიული მხარდაჭერა

2020 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

2020 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებელში

შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - 2361;

გარედან შემოსული - 409.

კანცელარიიდან გაიგზავნა **377** წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 41 ბრძანება;

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) - 287 ბრძანება;

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 162 ბრძანება.

რეგისტრაციაში გატარდა - 481 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

1. სასამართლო დავები:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 24 აგვისტოს განჩინებით (განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე) არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე შორენა ღლონტის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. უზრუნველყოფის მოთხოვნილი ღონისძიება ეხებოდა მოპასუხე მხარის - მაუწყებლის მიერ ახალი ამბების

სამსახურის უფროსის პოზიციაზე პირის დანიშვნას სასამართლო დავის დასრულებამდე ვადით.

მომზადდა მოსაზრება საჩივართან დაკავშირებით და წარედგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ბ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 27 აგვისტოს განჩინებით (განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელების ირაკლი ყურუას, ვანცენტ ხაბეიშვილის და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ალტერნატიული პროფკავშირების საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე. საჩივარი ეხებოდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს თანამშრომლ(ებ)ის ინტერნეტში/სოციალურ ქსელში ქცევის წესების მოქმედების შეჩერებას დავის დასრულებამდე.

მომზადდა მოსაზრება საჩივართან დაკავშირებით და წარედგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი, და სანქციის დაკისრება ქცევის წესების დარღვევის გამო შეაჩერა დავის დასრულებამდე.

გ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს #2/ზ-403-2020 განჩინების საფუძველზე წარდგენილ იქნა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებაზე (დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება (ვიდეოკამერის შეკეთების ხარჯები).

დ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის #2/ზ-411-2020 განჩინებით განუხილველი დარჩა მაუწყებლის 2017 წლის 01 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიმართ, იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული თანხის ოდენობა (963 ლარი) ნაკლებია კანონით დადგენილ ოდენობაზე(1000) ლარზე.

2. იჯარები

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის მიერ განხორციელდა შესაბამისი პროცედურები ქონების იჯარის გასაცემად: აუდიტორთან ხელშეკრულების გაფორმება ქონების შესაფასებლად, ნებართვის მიღება ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან, ელ. აუქციონის გამოცხადება. გაფორმდა იჯარის 6 ხელშეკრულება.

იჯარით გაიცა შემდეგი ქონება:

ა)სულხა-საბა ორბელიანის #17-ში (ს/კ 05.26.29.025) მდებარე 23.3 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 45 მეტრის ანძა, რომელიც შპს "მაგთიკომის" საკუთრებაშია.

ბ) ხულო, ს. გორგაძეებში (არგინეთი) მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 2 გრძივი მეტრის და მის მიმდებარე 8-10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 23.02.01.558)

იჯარით გაიცა განმეორებით აუქციონზე შემცირებული ფასით.

გ). ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ს. ცოდნისკარში მდებარე სატელევიზიო გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 2 გრძივი მეტრი და მის მიმდებარე 8 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 54.05.11.335)

წლიური საწყისი საიჯარო ქირა შეადგენდა 13260 ლარს (ზიჯის ჩათვლით).

დ) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 2 გრძივი მეტრის და მის მიმდებარე 8 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.004)

იჯარით გაიცა განმეორებით მესამე აუქციონზე შემცირებული ფასით.

ე) დაბა შუახევი, სოფელ ოქროპილაურში მდებარე გადამცემ სადგურზე (ანძაზე) 4 გრძივი მეტრის და 8 კვ.მ. შენობის ნაწილიდან 3 კვ.მ (ს/კ 24.02.01.628)

ვ) ბათუმში, ორბელიანის ქ # 17-ში მდებარე შენობის მაღალი ფლიგელის სახურავზე 2 კვ.მ. არაიზოლირებული ფართის და მის მიმდებარე 6 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.26.29.025)

იჯარით გაიცა განმეორებით აუქციონზე.

3. „გარე წარმოების“ კონკურსები

მაუწყებელმა მესამე კვარტალში გამოაცხადა დამოუკიდებელი პირების მიერ შექმნილ სამაუწყებლო პროდუქციაზე (3 სატელევიზიო პროდუქცია და 2 რადიო პროდუქცია) 5 კონკურსი. ჩემს მიერ მომზადდა შესაბამისი ბრძანებები ასევე, მოვამზადე შესაბამისი ხელშეკრულებები.

4. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემა

მაუწყებელმა 2020 წლის 20 ივლისს გამოაცხადა კონკურსი 40 ერთეული აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო გადაცემის ლიცენზიის შესყიდვაზე. გამოვლინდა 2 გამარჯვებული. გაფორმდა 2 ხელშეკრულება. მომწოდებლები: შპს „ქართული გახმოვანება“, შპს „გგგდაბინგი“.

მომზადდა შესაბამისი ბრძანებები და შესაბამისი ხელშეკრულებები.

5. სხვა ხელშეკრულებები

ა) შპს „ჯორჯიან ვენდინგ გრუპთან“ მხარეთა შეთანხმებით შეწყდა იჯარის ხელშეკრულება (მაუწყებლის შენობაში განთავსებული ყავის აპარატი). შეთანხმების საფუძველზე მოიჯარე გათავისუფლდა 2020 წლის აპრილის და მაისის საიჯარო ქირისგან (ჯამში 240) ლარი, ხოლო მოიჯარემ გადაიხადა არსებული დავალიანება 2020 წლის აგვისტოს თვეში 1560 ლარის ოდენობით.

ბ) მოპასუხე შპს „ეიგლისთან“ გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, თუ მოვალე 2020 წლის 24 ივლისამდე გადაიხდოდა წინასწარი ანგარიშსწორების სახით მიღებულ თანხას, მაუწყებელი 505 ლარის ოდენობით შეუმცირებდა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებულ პირგასამტეხლოს. შპს „ეიგლი“ აღნიშნული შეთანხმება არ შეასრულა.

გ) შპს „დაოსთან“ გაფორმებული შეთანხმებით მოიჯარე პანდემიასთან დაკავშირებით საიჯარო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის გამო გათავისუფლდა საიჯარო ქირის გადახდისგან. (იჯარით არის გაცემული მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ქონება, მდებარე ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის #17-ში)

დ) გაფორმდა ოთხი რეკლამის შესახებ ხელშეკრულება.

ვ) შპს „ტვ25“-ს გაეგზავნა წერილი მის მიერ გადახდილი თანხების მაუწყებლის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად მიქცევის თაობაზე და ეთხოვა დარჩენილი დავალიანების დაფარვის მისთვის სასურველი გრაფიკის წარმოდგენა, თუმცა არ წამოუდგენია:

მხარეებს შორის 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2018 წლის 01 მარტიდან 2019 წლის 01 აპრილამდე საიჯარო ქონების ფაქტობრივი ფლობისათვის (სარგებლობისათვის) არსებული დავალიანება დღეის მდგომარეობით შეადგენს 1360,7 ლარს (9100-7739,3) – 2019 წლის თებერვლისა და მარტის თვისათვის.

2020 წლის 01 ივლისის მდგომარეობით 2019 წლის 17 აპრილის #04 იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელი საიჯარო ქირა (დავალიანება) შეადგენს 7674,5 ლარს.

6. წინასაარჩევნო პერიოდი

მომზადდა შესაბამისი ბრძანებები წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით, კერძოდ, ბრძანება ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების თაობაზე, პოლიტიკური რეკლამის მიმნიჭებელი კომისიის შექმნის თაობაზე; შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ცესკოსთვის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის; შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან წინასაარჩევნო რეკლამებთან დაკავშირებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საჩივარი შევიდა პ/გ „თავისუფალი საქართველოსგან“ მაუწყებლის წინააღმდეგ, იმ საფუძველით, რომ მაუწყებელმა არ განათავსა ეთერში უფასო პოლიტიკური რეკლამა კომერციული ნიშნების არარსებობის გამო - კონკრეტული მედიკამენტების ჩვენება არსებული და დაპირებული ფასით. საჩივრის განხილვა მოხდა დისტანციურად, პ/გ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ა) საჯარო ინფორმაციის სახით გაზეთ „ბათუმელებს“ მოთხოვნის საფუძველზე მიეწოდა ინფორმაცია მაუწყებლის 2019 წლის რეიტინგების თაობაზე, 2020 წლის რეიტინგების გაცემაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ მაუწყებელს 2020 წლის რეიტინგის დათვლის მომსახურება არ ჰქონდა შესყიდული.

ბ) სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან მიმდინარეობს კორესპონდენციის წარმოება ხელშეკრულების საფუძველზე მაუწყებლისთვის დროებით სარგებლობაში გადმოცემული GPS მოწყობილობის განადგურების გამო (2020 წლის 08 იანვარს გაჩენილი ხანძრის გამო) მაუწყებლისათვის ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების თაობაზე.

გ) მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლის დაფინანსება/თანადაფინანსება ზოგიერთი მიმართულების პროგრამების მომზადების ან/და ეთერში გადაცემის შესახებ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გაეგზავნა შეკითხვები კონკრეტული მიზნით დაფინანსები/თანადაფინანსების თაობაზე განხორციელებულ ცვლილებებზე დაყრდნობით, რის თაობაზეც მაუწყებელმა მიიღო თანხმობა, მაგ: დაფინანსება მომსახურების გაწევისათვის, მუსიკალური კონკურსისათვის, შრომის ანაზღაურებისათვის, მზა პროდუქციის მიწოდება და ა.შ.

8. სხვა

სხვადასხვა სახის ბრძანებების მომზადება, სხვადასხვა სახის შიდა წერილები, მათ შორის პასუხების მომზადება აუდიტის რეკომენდაციებზე და ა.შ.

კვარტლის ტენდერები

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მესამე კვარტალში გამოცხადდა 14 ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა - 3, გამოცხადებულია 1, წინადადების მიღება დაწყებულია - 1, ხოლო 9 შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. 9 გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 25 გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 2 ხელშეკრულება.
4. შესყიდვების გეგმის გარეშე გაფორმდა 3 ხელშეკრულება, მათ შორის:
 - ფილმები - 2;
 - უფასო ევროპის ლიგის პირველი საკვალფიკაციო რაუნდის მატჩის (ბათუმის დინამოსა და ჰაპოველ ბეერ შევას) თამაშის გაშუქების უფლება - 1;

ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა; აღნიშნული ფუნქციის გასახორციელებლად სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

I. 2020 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში, საკადრო ბაზის განვითარების რეკომენდაციით მოხდა:

ა) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს კოლექტიური ორგანოს მმართველი საბჭოს დებულების მიღება (2020 წლის 21 ივლისის #02-03/23 ბრძანებით);

ბ) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს კოლექტიური ორგანოს სარედაქციო საბჭოს დებულების მიღება (2020 წლის 21 ივლისის #02-03/23 ბრძანებით);

გ) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს კოლექტიური ორგანოს ტექნიკური განვითარების საბჭოს დებულების მიღება (2020 წლის 21 ივლისის #02-03/23 ბრძანებით);

